



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 6 მაისი

დისციპლინური საქმე №39/20  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2020 წლის 6 მაისის №39 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 1 ივლისის №39/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე --- მიერ უხეშადაა დარღვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნები, რაც შეუძლებელია აიხსნას მოსამართლის არაკომპეტენტურობით. აშკარაა, რომ მოსამართლე დაინტერესებულია საქმის შედეგით (დავა ეხება მამობის აღიარებას და საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსარჩელეს ეს სჭირდება მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების მიზნით).

ამას ადასტურებს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოსამართლე სისტემატიურად უწევს ადვოკატირებას სარჩელის ავტორს და ეხმარება მას სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელებაში, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე დახურა სასამართლო სხდომა, მოსამართლემ თვითონ გაუმართა სარჩელი მოსარჩელეს, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მიკერძოებულობა.

მოსარჩელე რეალურად ითხოვდა საგამომიებო ორგანოდან გარდაცვლილის ბიოლოგიური ნიმუშის გამოთხოვას, თუმცა, მოსამართლე --- გასცდა შუამდგომლობის ფარგლებს და დაავალა საგამომიებო ორგანოს ბიოლოგიური ნიმუშის ექსპერტიზაზე გადაგზავნა. ამით, მოსამართლემ ხელი შეუწყო მოსარჩელეს და არათანაბარ პირობებში ჩააგდო მხარეები, წართვა მოპასუხეს შესაძლებლობა დაეთვალისწინებინა ნივთმტკიცება.

მოსამართლემ თავისი ინიციატივით გამოითხოვა ნოტარიუსისგან სამკვიდრო საქმე, რითაც გამოასწორა მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენისას დაშვებული შეცდომა და აშკარა მიკერძოება გამოიჩინა სარჩელის ავტორი მიმართ.

1.2. მოსამართლის მიკერძოებულობის გამო, საჩივრის ავტორმა დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ, თუმცა, აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე.

1.3. გარდა ამისა, მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის კანონით განსაზღვრული ვადა და საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის 5 დღიანი ვადა.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 24 დეკემბერს -- -- (არასრულწლოვანი) წარმომადგენლის, -- -- მეშვეობით, მემკვიდრეობის მიღების უზრუნველყოფის მიზნით მამობის დადგენის და დაბადების სააქტო ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მოთხოვნით, სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების, -- და -- -- მიმართ. სარჩელში დამატებითი მოთხოვნების სახით დაყენებული იყო რამოდენიმე შუამდგომლობა, მათ შორის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სამემკვიდრეო საქმის წარმოების შეჩერების და გარდაცვლილი პირის (-- --) გენეტიკური მასალის მოსარჩელის გენეტიკურ მასალასთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. სარჩელზე დართულ განცხადებაში ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ მოსამართლე -- -- სრულიად უსაფუძვლოდ, ერთხელ უკვე უარი ჰქონდა ნათქვამი მხარის მიერ იგივე საქმეზე წარდგენილ სარჩელზე. ამდენად, იმის თავიდან ასაცილებლად, რომ საქმე განსახილველად კვლავ მოსამართლე -- -- გადასცემოდა, ის წინასწარ ითხოვდა მოსამართლის აცილებას და საქმის მექანიკური წესით განაწილებას.

მოსამართლე -- -- საქმე განსახილველად გადაეცა 2019 წლის 24 დეკემბერს. 2019 წლის 25 დეკემბრის განჩინებით მოსამართლემ უარი განაცხადა საქმის აცილებაზე. 2019 წლის 25 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელეს ნაწილობრივ უარი ეთქვა საქმის განსახილველად მიღებაზე. სარჩელი წარმოებაში მიღებულ იქნა მხოლოდ მოსარჩელის მამად -- -- (მოპასუხეების გარდაცვლილი ძმა) აღიარების ნაწილში. 2019 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე. 2019 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საქმეში მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოდ ჩაბმულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

2020 წლის 3 იანვარს მოპასუხე -- -- სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომელშიც ის დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას მხოლოდ -- მამად დადასტურების საჭიროების ნაწილში.

2020 წლის 10 იანვარს მოპასუხის წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 2019 წლის 25 დეკემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა. იმავე განცხადებაში საჩივრის ავტორი უთითებდა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით მოპასუხეს ადგებოდა ზიანი და მისი ანაზღაურების გარანტიას არასრულწლოვანი მოსარჩელისაგან ვერ მიიღებდა. ამდენად, მოპასუხე შუამდგომლობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე.

2020 წლის 10 იანვრიდან იმავე წლის 15 იანვრამდე მხარეებმა სასამართლოში წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები სარჩელში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2020 წლის 15 იანვრის განჩინებით საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2020 წლის 28 იანვრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. საქმე სააპელაციო სასამართლოს გადაეგზავნა 2020 წლის 31 იანვარს.

2020 წლის 30 იანვარს -- -- სასამართლოში წარადგინა განცხადება (პოზიცია), რომელშიც აღნიშნავდა, რომ სასამართლო აჭიანურებდა მოპასუხეების მიერ კონკრეტული დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის განხილვას (შუამდგომლობა დაყენებული იყო მოპასუხის მიერ 2020 წლის 3 იანვარს წარმოდგენილ შესაგებელში). აღნიშნულ განცხადებაში მოპასუხე არ ეთანხმებოდა სასარჩელო მოთხოვნას და აცხადებდა, რომ მოსამართლე განზრახ აჭიანურებდა საქმის განხილვას.

2020 წლის 4 თებერვლის განჩინებით -- -- განცხადებას (პოზიციას) დაუდგინდა ხარვეზი, განცხადება არ იყო წარმოდგენილი საჩივრის ფორმით და მისი განხილვა შეუძლებელი იყო მოთხოვნის გაურკვევლობის გამო.

2020 წლის 10 თებერვალს მოპასუხემ (-- --) სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, მხარის განცხადებით, მოსამართლე იყო მიკერძოებული და მას დაშვებული ჰქონდა სამართლებრივი შეცდომები.

2020 წლის 17 თებერვალს -- -- სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას. შესაგებელში მოპასუხე შუამდგომლობდა იუსტიციის სახლიდან მოსარჩელის დედის, -- -- ყველა კანონიერ ქორწინებაში ყოფნის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

2020 წლის 17 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობას არ ეთანხმებოდა.

2020 წლის 17 თებერვალს მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს ასევე მიმართა -- --.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა 2020 წლის 21 თებერვლის განჩინებით დაინიშნა 2020 წლის 26 თებერვალს. 2020 წლის 26 თებერვლის სხდომაზე მოსამართლემ განიხილა მხარეთა შუამდგომლობები და მიიღო შესაბამისი განჩინებები (მოსამართლემ დააკმაყოფილა მოპასუხეების შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე). საოქმო განჩინებით მოპასუხეებს უარი ეთქვათ მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლემ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა დახურულად გამოაცხადა.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2020 წლის 19 მარტს. სხდომაზე არ გამოცხადდნენ მხარეები და საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისთვის.

2020 წლის 19 და 20 მარტს -- -- სასამართლოს წარუდგინა შუამდგომლობები გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, რომლითაც უნდა დადასტურებულიყო ნათესაური კავშირი მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის (გენეტიკური მასალა უნდა აღებულიყო უშუალოდ მოპასუხეებისაგან). 2020 წლის 20 მარტის განცხადებით მოპასუხეებმა აღნიშნული შუამდგომლობების ზეპირი მოსმენით განხილვა მოითხოვეს.

2020 წლის 27 მარტს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მოპასუხეების შუამდგომლობა ექსპერტიზის შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე საქმის განხილვის გაჭიანურებას ემსახურებოდა (შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვა ასევე არ იყო მიზანშეწონილი პანდემიის გამო) და ამდენად, შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა მომხდარიყო. ასევე, გენეტიკური ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო გარდაცვლილი პირის და არა მოპასუხეების გენეტიკური მასალის გათვალისწინებით.

2020 წლის 2 აპრილს მოსამართლემ ზეპირი განხილვის გარეშე მიიღო განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელში დაყენებული გენეტიკური ექსპერტიზის (გარდაცვლილის გენეტიკური მასალის გათვალისწინებით) დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე.

2020 წლის 25 მაისს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი დასკვნა, რომლის თანახმად, -- -- მამობის ფაქტის დადასტურება მოხდა 99.9% ალბათობით.

2020 წლის 2 ივნისს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის გენეტიკური კავშირის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარება ისევ მოითხოვა. მხარე თანახმა იყო შუამდგომლობა განხილულიყო ზეპირი მოსმენის გარეშე. -- -- ასევე აღნიშნავდა, რომ მოსამართლე იყო ტენდენციური და განზრახ აჭიანურებდა შუამდგომლობის განხილვას.

2020 წლის 5 ივნისს -- -- მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს.

2020 წლის 15 ივნისის განჩინებით საქმეზე მოსამხადებელი სხდომა დაინიშნა 2020 წლის 9 ივლისს.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 5 ოქტომბრის დასკვნა:**

-- -- 2020 წლის 6 მაისის №39 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ (მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით), „ბ.დ.“ (მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი) და „ვ.ა“ (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

### **4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესით, პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენით.

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად, მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. კერძოდ, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესით, ასევე, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებებით ან/და სოციალური ზეგავლენით, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა განხორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. ამასთან, ხსენებული დასკვნის 21-ე აბზაცის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; ობიექტური ტესტით უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* §28 და §30; *Wettstein v. Switzerland*, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, §32).

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის არსებობას, რათა თითოეულ მხარეს ეძლეოდეს გონივრული შესაძლებლობა, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ისეთ პირობებში, რომლებიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად წამგებიან მდგომარეობაში არ ჩააყენებენ (SCHULER-ZGRAGGEN v. SWITZERLAND, §50-52).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები სრულად შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, საქმის აუდიო და წერილობითი მასალების გაცნობის შემდეგ არ გამოიკვეთა გარემოება, რომელიც დაადასტურებდა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის, რომელიმე მხარისადმი რაიმე უპირატესობის მინიჭების, მოსამართლის შესაძლო ტენდენციურობის ან რაიმე სახის მიკერძოების ფაქტს.

ამდენად, მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის დახურვა, გარკვეული შუამდგომლობების დაკმაყოფილება ან შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოსამართლის უფლებამოსილებას და დამატებითი უტყუარი მტკიცებულებების გარეშე ვერ ადასტურებს მოსამართლის მიკერძოებულობასა და საქმის მიმართ პირად ინტერესს.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.“

იმისათვის, რომ შეფასდეს მოსამართლის ქმედების მართლზომიერება, საჭიროა განხილულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსამართლის აცილების ნორმატიული საფუძვლები.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, (2.5) „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.“ (3.1) „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო.“ ამასთან, (3.2) „მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.“

სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტსაც.

მიუკერძოებლობა როგორც წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ (MICALLEF v.

MALTA §94). სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით. ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს, მოსამართლის ქცევის მიუხედავად რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებაში (HAUSCHILDT v. DENMARK §48, MICALLEF v. MALTA §96, PESCADOR VALERO v. SPAIN §21).

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.<sup>1</sup>

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებულია პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. კერძოდ, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე. მითითებული კოდექსის 32 მუხლის შესაბამისად კი აცილების საფუძველების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

<sup>1</sup> ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალური კომენტარები. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2015, გვ. 107 (81)

მოცემულ საქმეზე მოპასუხეების მიერ წარდგენილი შუამდგომლობები არ შეიცავდა მინიშნებას საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების აშკარა საფუძვლების არსებობის თაობაზე. ამასთან, მხარის ექვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებით არ არის გამყარებული ლეგიტიმური საფუძვლით, რომელსაც შეეძლო საქმის განხილვისას გავლენა მოეხდინა მოსამართლის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე. ამდენად, აცილების საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4.3. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად კი უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.<sup>2</sup>

საქმის განხილვის ვადა თუ იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.<sup>3</sup>

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ საქმის განხილვის ვადების გონივრულობის შეფასება მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

- 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grange v. Italy*, §55; *Papachelas v. Greece*, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Humen v. Poland*, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania*, §150);
- 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*Koenig v. Germany*, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
- 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (*Pafitis and others v. Greece*, §93; *Tierce and others v. San Marino*, §31; *Suermeli v. Germany*, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა გონივრული იყო თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*Frydlander v. France*, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (*Koenig v. Germany*, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.<sup>4</sup>

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (*Boddaert v. Belgium*, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (*Dobbartin v. France*, §44).

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (*Von Maltzan and Others v. Germany (dec.)* [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.<sup>5</sup>

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

<sup>4</sup> მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედებები სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილი კი დეტალურად განსაზღვრავს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ვადებს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

ზემოაღნიშნული კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გაეგზავნება მხოლოდ სასამართლო განჩინება საქმის დამოწმებულ ასლებთან ან ელექტრონულ საქმის მასალებთან ერთად, ხოლო საქმის მასალების დედნები სასამართლოში დარჩება და საქმის განხილვას სასამართლო გააგრძელებს საერთო წესით.

არსებული საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლეს საქმე განსახილველად გადაეცა 2019 წლის 24 დეკემბერს. ხოლო, მოპასუხემ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2020 წლის 3 იანვარს, შესაბამისად, კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყო კონკრეტული თარიღიდან. მოსამართლე საქმეს განიხილავდა 6 თვეზე მეტი დროის მანძილზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 2 აპრილს მოსამართლემ მიიღო განჩინება გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სასამართლოს დასკვნა წარადგინა 2020 წლის 25 მაისს. დროის ამ მონაკვეთში მოსამართლე მოკლებული იყო შესაძლებლობას დაესრულებინა საქმის განხილვა. ამდენად, ეს პერიოდი არ უნდა იქნას გათვალისწინებული საქმის გაჭიანურების ვადაში.

შედეგად, სახეზეა საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადის 3 თვემდე დროით გაჭიანურება. თუმცა, მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, მხარეების მიერ დაყენებული მრავალრიცხოვანი შუამდგომლობებისა და საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის 3 თვემდე დარღვევა, კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეიძლება ჩაითვალოს არასაკატიოდ. შესაბამისად, მოსამართლის ქმედებაში არ იკვეთება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის ბრალეული დარღვევის ნიშნები.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას, რომ მოსამართლემ დაარღვია საჩივრის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის 5 დღიანი ვადა, საქმის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული გარემოება არ შეესაბამება სინამდვილეს. მოსამართლემ მოპასუხის საჩივარი და საქმის მასალები სააპელაციო სასამართლოში გადააგზავნა 2020 წლის 28 იანვრის განჩინების მიღებიდან მე-3 დღეს, კანონის მოთხოვნის სრული დაცვით.

## **5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური

საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“, „ბ.დ“ და „ვ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის მეორე პუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №39/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი